პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 168 (10562) | შაბათი, 21 ივლისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მოსავლის აღება და ძირეული პრესის ამოცანები

დაღმა სასოფლო-სამეურნეო წლის ყველაზე დაძაბული პერიოდი — მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პერიოდი. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომლებიც დიდი აღფრთოვანებითა და ბოროტებით შეხედნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებულ სახელმწიფო პენსიების კანონს და სხვა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, დღითიდღე აძლიერებენ მოსავლის აღების ტემპს.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე ამჟამად დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანა — უმოკლეს ვადებში, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აიღონ მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალი, მკვეთრად შეამცირონ მარცვლეულის დანაკარგები. ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულება პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და გაძლიერებას. სოფლის პარტიული ორგანიზაციები ვალია ყოველდღიურად შინაარსიანად განუმარტავდნენ კოლმეურნეებსა და მტს-ების მუშაკებს მოსავლის აღების სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულების უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, მოსავლის აღებასა და მიმდინარე პერიოდის სხვა გადაუდებელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიურად აბამდნენ ყველა კოლმეურნესა და მექანიზატორს, რაზმავდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ძირეული პრესა — კოლმეურნეობებისა და მტს-ების, მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადების კედლის გაზეთები.

ამჟამად ძირეული პრესის მთავარი ამოცანა ის არის, რომ დარაზმოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის დროზე, შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის, პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, საკუთარი მაღალხარისხოვანი თესლით, საფურაჟე მარცვლეულით, წვნიანი და უხეში საკვებით კოლმეურნეობების უზრუნველყოფისათვის.

უფრო რომ ამაღლდეს ძირეული პრესის იდეურ-პოლიტიკური დონე და მოსავლის აღების სამუშაოებში მისი როგორც მასების კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლი, საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, კოლმეურნეობათა და მტს-ების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ განაზოგადონ ის დადებითი გამოცდილება, რაც შეიძინა ძირეულმა პრესამ შარშან მოსავლის აღების პერიოდში და მიმდინარე წელს საგაზაფხულო თესვის დღეებში, განამტკიცონ სარედაქციო კოლეგიები საქმისმოყვარული, ინიციატივიანი მუშაკებით.

მოსავლის აღების პერიოდში კედლის გაზეთებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ყოველივე იმაზე, რაზეც დამოკიდებულია პურეულის მკისა და მარცვლეულის დაშლა-დანაკარგების წარმატება. ისინი უნდა უჩვენებდნენ, თუ როგორ არის დაკომპლექტებული კომბაინების აგრეგატები კადრებით, რამდენს მკიან და რამდენ მარცვლეულს ლეწავენ ისინი, როგორ არის მოწყობილი შრომა საველე კალოებზე, როგორ მუშაობს მარცვლეულის გასაზიდავად გამოყოფილი ტრანსპორტი, როგორია მინდვრად მომუშავეთა კვებისა და კულტურული მომსახურების საქმე და ა. შ.

მოსავლის აღების მიმდინარეობის ოპერატიულად გაშუქებისათვის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა უნდა შემოიღონ მინდვრად საველე ფურცლების გამოშვება. ამ მხრივ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. ყოველდღიურად გამოდის, მაგალითად, საველე გაზეთი სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში. საველე გაზეთი აქ ფართოდ ასახავს თვითეული დღის მუშაობის შედეგებს, მიუთითებს მოსავლის აღებაში შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. კოლმეურნეობის გამგეობა ყურადღებით ეკიდება საველე გაზეთის სიგნალებს და დროულად იღებს ზომებს მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. სოფლის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა და კოლმეურნეობათა აგიტატორების ძალებით საველე გაზეთები გამოდის აგრეთვე წითელწყაროს, ლაგოდეხის, თბილისის გარეუბნის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

მოსავლის აღების სამუშაოთა გაშუქებაში ძირეულმა პრესამ ცენტრალური ადგილი უნდა დაუთმოს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრების ვსვლელობას, კედლის გაზეთები უნდა მოგვითხრობდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, წაახალისებდნენ კომბაინერთა შეჯიბრებაში დაწინაურებულებს, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ მათი მუშაობის გამოცდილებას. მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ ჩვენებასთან ერთად კედლის გაზეთები მკაცრად უნდა აკრიტიკებდნენ ჩამორჩენილებს, ქმნიდნენ საზოგადოებრივ აზრს ზარმაცების, საზოგადოებრივი შრომის თავისამრიდებლების წინააღმდეგ, მტკიცედ იბრძოდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღებას, მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მინდერად იშვიათად იმართება საუბრები, საველე ბანაკები ზოგჯერ მოუწყობელია, დროზე არ მიაქვთ იქ ცურნალ-გაზეთები, იშვიათად უწევენ კინოსურათებს, მოუგვარებელია საზოგადოებრივი კვება. კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს არ შეუძლიათ შეურიგდნენ ასეთ არანორმალურ ფაქტებს. ისინი აქტიურად უნდა იბრძოდნენ მინდვრად ფართო ქმედითი პოლიტიკური აგიტაციის გაჩაღებისათვის, შეუნელებლად ზრუნავდნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სრულად დაკმაყოფილებისათვის, დროულად აყენებდნენ საკითხს მათი მოგვარების შესახებ კოლმეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე, მოურიდებლად აკრიტიკებდნენ ყველას, ვინც უდარდელობას იჩენს მოსავლის აღებაზე მომუშავე ადამიანებისადმი, მათი მოთხოვნილებებისადმი.

ძირეული პრესის ძალა მასებთან მჭიდრო კავშირში, ყოველდღიურ პარტიულ ხელმძღვანელობაშია. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ის კედლის გაზეთი ასრულებს წარმატებით თავის ამოცანებს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ ეყრდნობა ავტორთა ფართო აქტივს, ყოველდღიურად გრძნობს პარტიული ორგანიზაციის კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. მოსავლის აღების ამ პასუხსაგებ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა ძირეული პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება. დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ძირეულ პრესას რაიონულმა გაზეთებმა, რომელთა დიდი ნაწილი ამ დღეებში, სამწუხაროდ, გვერდს უვლის კედლის გაზეთების საქმიანობის გაშუქებას. რაიონულ გაზეთებში სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს კედლის გაზეთების კვალიფიციური მიმოხილვები, მასალები რუბრიკით „კედლის გაზეთების ფურცლებზე“, პრაქტიკული რჩევა-დარიგება და კონსულტაციები ძირეული პრესის მუშაკებისათვის.

კედლის გაზეთები დიდი ძალაა პარტიული ორგანიზაციების ხელში. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ ეს ძალა, ავამაღლოთ კედლის გაზეთების როლი მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარებისათვის, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის დიდი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

დეპეშა

პარიზიდან 18. VII 56 წ.

მის აღმატებულებას მარშალ კ. ვოროშილოვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მეტად მასიამოვნა სურვილებმა და მოლოცვამ, რომლებიც თქვენმა აღმატებულებამ შემომითვალეთ საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის გამო. ფრანგი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად ვუსურვებ ბედნიერებას თქვენს აღმატებულებას, ხოლო აყვავებას — სსრ კავშირის ხალხებს.

რენე კოტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ

ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების საკითხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რამდენადმე გააფართოეს ხეხილის ნარგავებისა და ვენახის ფართობები, ხილის, კენკრისა და ყურძნის დამზადება. მაგრამ მებაღეობა და მევენახეობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგებია. ბევრ კოლმეურნეობაში ბაღები და ვენახები შენდება მცირე ნაკვეთებზე და სასაქონლო მნიშვნელობა არა აქვს. ცუდად უვლიან ნარგავებს, ბაღები და ვენახები გამეჩხერებულია, ბევრ მათგანს არა აქვს ბაღსაცავი ზოლები; მეტ წილ კოლმეურნეობებში ვენახები შესარული არ არის; ცოტას ხმარობენ ორგანული და მინერალური სასუქებს, ბაღებისა და ვენახების მორწყვა მოწყობილია ცუდად და წარმოებს არარეგულარულად, სათანადო ბრძოლას არ აწარმოებენ ხეხილ-კენკრის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ. ამის გამო ხილის, კენკრისა და ყურძნის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი დაბალია, დიდია მოსავლის დანაკარგები. მოსახლეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილება ხილზე, კენკრასა და ყურძენზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ სოფლის მეურნეობის ამ დარგებში და საჭირო მოთხოვნებს არ უყენებენ მტს-ებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების საქმის გაუმჯობესებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებია ხილისა და კენკრის დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის საქმეში, აგრეთვე ხილით და კენკრით ვაჭრობაში.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო სრულიად არასაკმაო რაოდენობით ამზადებს შხამქიმიკატებსა და მინერალურ სასუქებს.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო იწყნარებს სიზანტეს ბაღებისა და ვენახების დასამუშავებელი სპეციალური ტრაქტორების, მანქანებისა და იარაღების კონსტრუირებასა და წარმოებაში.

ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების მნიშვნელოვანი გადიდების და ამ პროდუქტებით მოსახლეობის, ხოლო გადამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს:

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

უზრუნველყონ ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების ფართობების მნიშვნელოვანი გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გაუმჯობესონ მათი მოვლა, აგრეთვე უზრუნველყონ ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, ნარგავთა რემონტი, ვენახების შესარგა და მორწყვა, რათა უახლოეს წლებში ხილის, კენკრისა და ყურძნის საერთო მოსავალი სულ ცოტა 1,5—2-ჯერ გადიდდეს;

უზრუნველყონ ხეხილის ნარგავების გაფართოება ხმელი ხილის წარმოების გასადიდებლად უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში, შავქლიავისა—უკრაინის სს რესპუბლიკაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარეში, ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლისა—სუბტროპიკულ რაიონებში; გაადიდონ კაკლის, ფუნდუკის, წაბლისა და სხვა კაკალნაყოფიანი კულტურების რგვა ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, სამხრეთ უკრაინისა და მოლდავეთის რაიონებში და თხილისა — ცენტრალურ რაიონებში, განსაკუთრებით ტყესაცავი ზოლების დარგვისას და ხრამების გატყევებისას;

რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, რომლებიც ბაღებს, საკენკრეებსა და ვენახებს აშენებენ, შეიმუშაონ მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების პერსპექტიული გეგმები, გაითვალისწინონ მათში ნარგავთა ოდენობა და ჯიშ-ხარისხობრივი შემადგენლობა, ჰიდრომელიორაციულ ღონისძიებათა განხორციელება, ბაღსაცავი ზოლების გაშენება, ღრმა მოხვნა და ნიადაგში სასუქების შეტანა;

მოაწყონ საკენკრეების (მარწყვის, ხურტკმელის, მოცხარისა და ჟოლოს) ფართოდ გაშენება, განსაკუთრებით მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, ტულის, კუიბიშევის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მინსკის, რიგის, კიევის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, სტალინოს და სხვა დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო რაიონებში;

უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველყონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვა სპეციალური ტრაქტორებით, მანქანებითა და იარაღებით ბაღებსა და ვენახებში სამუშაოდ და აპარატურით ნარგავთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად; რესპუბლიკების საწარმოებში მოაწყონ საბაღე და სავენახე მაღალხარისხოვანი ხელის ინვენტარის წარმოება;

შექმნან მტს-ებში, რომელთა ზონებშიც დიდი საკოლმეურნეო ბაღები და ვენახებია, მებაღეობის, მებაღეობა-მევენახეობის ან მებაღეობა-მებოსტნეობის სპეციალიზებული სატრაქტორო ბრიგადები, დააკომპლექტონ ისინი გამოცდილი ბრიგადირებით და ტრაქტორისტებით, ხოლო ბაღებისა და ვენახების მცირე ფართობთა არსებობისას გამოჰყონ სპეციალიზებული სატრაქტორო აგრეგატები, საჭირო მისაბმელი და კიდული იარაღებით დაკომპლექტებული;

ყოველი ღონისძიებით წაახალისონ მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტიური მებაღეობის განვითარება, უზრუნველყონ მიწის ვარგისი ნაკვეთების გამოყოფა ბაღების გასაშენებლად, ხელი შეუწყონ ბაღებისა და ვენახების გაშენებას კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, აგრეთვე სკოლებთან, საავადმყოფოებთან, საბავშვო ბაღებთან, რომლებსაც მიწის ნაკვეთები აქვთ, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების კარმიდამოებში და რკინიგზების, გზატკეცილებისა და გრუნტის გზების, აგრეთვე ქალაქებსა და სოფლებში ქუჩების შემორგვას ხეხილითა და კაკალნაყოფიანი ხეებით;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო მებაღეობის განვითარებას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში (ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ყაზახეთის სსრ ჩრდილოეთი ოლქები), ამ რაიონებში მოაწყონ სანერგეები, რათა ახალმოსახლენი მოამარაგონ ყინვაგამძლე და მოსავლიანი ჯიშების ხეხილისა და კენკრის ბუჩქების, აგრეთვე დეკორაციული მცენარეების სანერგე მასალით.

მიიღონ ღონისძიებანი დაავადებათა და მავნებელთაგან ბაღებისა და ვენახების დაცვის სამუშაოთა გასაუმჯობესებლად, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს დააკისრონ პასუხისმგებლობა მავნებელთა და დაავადებათაგან მცენარეების დაცვის ღონისძიებათა დროზე განხორციელებისათვის, აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილ-კენკრისა და ვაზის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა განხორციელებაში კოლმეურნეებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისადმი დახმარების გაწევისათვის;

მოაწყონ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სანერგეები ხეხილისა და კენკრის ბუჩქების, ხოლო სამხრეთ რაიონებში ვაზის ყველაზე მოსავლიანი, მაღალხარისხოვანი და მოცემულ ზონაში რაიონირებული ყინვაგამძლე ჯიშების სანერგე მასალის გამოსაყვანად ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სარგავ მასალაზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას, და აღჭურვონ სანერგეები საჭირო ტექნიკით; მნიშვნელოვნად გაადიდონ ხეხილის, კენკრისა და ვაზის ნერგის გამოყვანა ტყის სანერგეებში;

დააკისრონ კომუნალური მეურნეობის ორგანოებს, მწვანე მშენებლობისა და ბაღ-პარკის მშენებლობის ორგანიზაციებს შეასრულონ სამუშაოები ქალაქებში, მუშათა და სააგარაკო დაბებში მუშებისა და მოსამსახურეების საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილ-კენკრის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და მოსახლეობისათვის ქირით აპარატურის მიცემაში. კოლმეურნეობათა გამგეობებს რჩევა მიეცათ დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს შხამქიმიკატების შეძენაში, აგრეთვე მისცენ ცხენისა და ჩანთიანი აპარატურა საკარმიდამო ნაკვეთებზე დაავადებათა და სასოფლო-სამეურნეო მავნებელთაგან მცენარეების დაცვის სამუშაოთა განხორციელებისათვის.

კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილ-კენკრის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა ანაზღაურება, აგრეთვე ქირით გაცემული აპარატურის ანაზღაურება აწარმოონ იმ ტარიფებით, რომლებსაც დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს:

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

დაამზადოს მუხლუხოვანი ტრაქტორების საცდელი ნიმუშები 40 ცხენძალის და 14-16 ცხენძალის სიმძლავრის ძრავებით ბაღებსა და ვენახებში სამუშაოდ და 1956-1957 წლებში განახორციელოს ამ ნიმუშების გამოცდა და გამოცდის შედეგების მიხედვით 1957 წლის 1 ოქტომბერს წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სოფლის მეურნეობისათვის ამ ტრაქტორების წარმოების შესახებ;

უზრუნველყოს 1956-1957 წლებში 140 ცხენძალის სიმძლავრის სატრაქტორო სასოფლო-სამეურნეო მანქანების საცდელი ნიმუშების აგება და დამზადება: ღრმად გამფხვიერებლისა 100 სანტიმეტრამდე სიღრმეზე ნიადაგის დასამუშავებლად და ბარუსიანი საპლანტაჟე გუთნისა 80 სანტიმეტრამდე სიღრმეზე სახნავად სასუქების შესატანი აპარატით, აგრეთვე 40 ცხენძალისა და 14-16 ცხენძალის სიმძლავრის სატრაქტორო საბაღე-სავენახე მანქანებისა და ვენტილატორის ტიპის მძლავრი საბაღე სასხურებლების საცდელი ნიმუშებისა;

ააგოს, დაამზადოს ვენახების 1,5—1,8 მეტრი სიგანის მწკრივთაშორისების ღრმად გადასახნავი, აგრეთვე ვაზის მიწით დასაფარავი და ამოსათხრელი ვიწროგაბარიტიანი ტრაქტორის საცდელი ნიმუშები და მათი გამოცდა მოახდინოს 1956-1957 წლებში;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ 1956 წელს გამოსცადონ 140 ცხენძალის სიმძლავრის მუხლუხა ტრაქტორი ფერდობებზე ვენახების გასაშენებლად საპლანტაჟო სამუშაოებზე და გამოცდის შედეგების მიხედვით 1956 წლის 1 დეკემბრისათვის წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სოფლის მეურნეობისათვის ამ ტრაქტორების წარმოების შესახებ;

სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაოს 1956-1957 წლებში სატრაქტორო კიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანების — თხრილგამყვანისა და ამოსაძირკვავ-შემგროვებელი მანქანის კონსტრუქციები და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ მანქანების წარმოების შესახებ სოფლის მეურნეობისათვის;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ სავალდებულო ნაკრები შხამქიმიკატებისა ბაღების და საკენკრეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ მოაწყოს 1957-1958 წლებში ფრილად დაფასოებული ამ შხამქიმიკატების გამოშვება მოსახლეობისათვის მისაყიდად;

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა კომისიამ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში, დაწყებული 1957 წლიდან, მაღალი წარმადობის სატრაქტორო სასხურებლებისა და საფრქვეველების, ცხენ-მოტორისა და ცხენის სასხურებლების, აგრეთვე ჩანთიანი აპარატურის წარმოება ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას, აგრეთვე სათადარიგო ნაწილების წარმოება მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული სატრაქტორო, ცხენისა და ჩანთიანი აპარატურისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ გამოსაშვები აპარატურის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ღირებულების შემცირება.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ გაადიდოს 1956-1957 წლებში რეზინის შლანგების წარმოება მებაღეობისა და მევენახეობის საჭიროებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

უფლება მიანიჭეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გამოიყენონ სახელმწიფო ხილ-კენკრის, ვენახის, თუთისა და სატყეო სანერგეების და ხილსანერგეების საბჭოთა მეურნეობების მოგება ამ მეურნეობათა განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, გარდა მოგების იმ ნაწილისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობის ფონდში მიდის;

გაავრცელეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ხილ-კენკრის, ვენახის, თუთის სახელმწიფო სანერგეებზე და ხილ-სანერგეთა საბჭოთა მეურნეობებზე საბჭოთა მეურნეობების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესი, რომელიც შემოღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 მარტის № 410 დადგენილებით;

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება ხილის, ყურძნის, ციტრუსოვანთა და სხვა კულტურების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით და შემდგომ განვითარდეს ადგილობრივი ორგანოების ინიციატივა ამ პროდუქტების დამზადებისა და მოსახლეობისათვის მიწოდების, ხოლო გადამმუშავებელი მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდების ორგანიზაციაში, დაწესეს, რომ ამიერიდან კოლმეურნეობებში ხილის, ყურძნის, კენკრის, ციტრუსოვანი და კაკალნაყოფიანი კულტურების, დაფნის ფოთლის, აგრეთვე ხმელი ხილის, ქაშმიშის, გარეული ხილის, კენკრისა და სოკოს დამზადება წარმოებს იმ ფასებით, რომლებიც იქმნება საკოლმეურნეო ბაზრებზე დამზადების ადგილებში.

ამასთან დასაშვებია აღნიშნული პროდუქციის კონტრაქტაცია კოლმეურნეობებთან როგორც წლიური, ისე გრძელვადიანი (2-3 წლის) ხელშეკრულებებით.

აღნიშნული პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან წარმოებს იმავე ფასებით, რომლებითაც წარმოებს ამ პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეობებისაგან.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნებადართული აქვთ აძლიონ კოლმეურნეობებს ფულადი ავანსები დასამზადებელი ხილის, ყურძნისა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული სხვა პროდუქციის საერთო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, აქედან 25 პროცენტი ამ პროდუქციის დამზადებაზე ხელშეკრულების დადებისას და 25 პროცენტი მას შემდეგ, რაც გამოირკვევა, თუ რა პირი უჩანს მოსავალს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებს აძლიოს კრედიტი კოლმეურნეობებისათვის აღნიშნული ავანსების მისაცემად წლიური ხელშეკრულებებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ბანკმა — გრძელვადიანი ხელშეკრულებებით.

მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ ახალი ხილის, ყურძნის, ციტრუსოვანთა, კენკრის, კაკლის, დაფნის ფოთლის, აგრეთვე ხმელი ხილის, ქაშმიშის, გარეული ხილის, კენკრისა და სოკოს საცალო ფასებისა და სავაჭრო ფასდაკლების დამტკიცება მათი დასამზადებელი ღირებულების, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების და გადამმუშავებელ საწარმოთა ხარჯების და ნორმალური დაგროვების გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ ჯეროვანი კონტროლი საცალო ფასების დაწესების სისწორისადმი.

სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ ხილისა და ყურძნის შეუფერხებელი მიღება კოლმეურნეობებისაგან უშუალოდ საზოგადოებრივი კვების მაღაზიებსა და საწარმოებში, ამასთან ღირებულება გადაუხადონ საცალო ფასების მიხედვით 12 პროცენტის ფასდაკლებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ იმ ხილის კონსერვებისა და წვნის საცალო ფასებს, რომლებიც საოდება მოცემულ რესპუბლიკაში, დამზადებული ხილის ფასების და წარმოების საჭირო რენტაბელობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, ხოლო სხვა რესპუბლიკებში გასატანი ამავე პროდუქციის ფასებს, — სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გაღიდების შესახებ

(დასასრული)

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება, დაწყებული 1956 წლიდან, საბჭოთა მეურნეობებში ახალი ვენახების, ბაღების, საკენკრეების და სხვა მრავალწლიან ნარგავთა გაშენების, არამსხმოიარე მრავალწლიანი კულტურების მოვლის, ელექტროფიკაციის, სამელიორაციო სამუშაოების, მარანთა და ხილის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობის, აგრეთვე დამამზადებელი ორგანიზაციების ტექნიკური ბაზის გაფართოების ხარჯები გასწიონ მეღვინეობის, საკონსერვო, საკვებკონცენტრატებისა და ხილბოსტნეულის მრეწველობის მთელი პროდუქციის რეალიზაციის თანხის, აგრეთვე ახალი ხილის რეალიზაციის თანხის ანარიცხებიდან 3 პროცენტამდე ოდენობით.

გზათა სამინისტრო მოვალეა გააუმჯობესოს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ხილისა და ყურძნის გადაზიდვის საქმე, უზრუნველყოს ვაგონების მიწოდება ტვირთის წარდგენისას, მნიშვნელოვნად შეამციროს ხილის გადაზიდვის ვადები. ხილისა და ყურძნის გადაზიდვა აწარმოოს რკინიგზის პლომბებიანი ვაგონებით.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ეს დადგენილება, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ პრესაში, რადიოთი, კინოს, ლექციებისა და მოხსენებების საშუალებით მებაღეობის მოწინავეთა გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს, მოაწყონ პრაქტიკული მუშაობა კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში იმისთვის, რომ წესრიგზე მოიყვანონ ყველა არსებული ბაღი, ვენახი, საკენკრე, უზრუნველყონ ახალი ნარგავების მასობრივი გაშენება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშრომელთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიურ ბაღებში და შექმნან რაც შეიძლება მოკლე ვადაში ხილის სიუხვე ჩვენს ქვეყანაში.

1956 წლის 30 ივნისი.

ურალის ოლქებისა და ავჭონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

სვერდლოვსკი, 19 ივლისი. (საკ-დესი). დღეს აქ გაიხსნა კიროვის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ჩკალოვის ოლქების, ბაშკირეთისა და უდმურტეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. იგი მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს და რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭომ.

თათბირი გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ი. ბელიაევმა.

ამტკიცებენ დღის წესრიგს.

მოხსენება „მოსავლის აღების ჩატარების, მეცხოველეობის მდგომარეობისა და 1956 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“ გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ა. იასნოვმა.

— ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი, — ამბობს ამხ. იასნოვი, — მიმართულია იქითკენ, რომ 1960 წელს მარცვლეულის საერთო-მოსავალი სსრ კავშირში აყვანილ იქნას 11 მილიარდ ფუთამდე და უზრუნველყოფილ იქნას ხორცის წარმოების ზრდა ერთიორად, რძის, კარტოფილის, მატყლის — თითქმის ერთიორად და ბოსტნეულისა — ერთიორად და უფრო მეტად.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უდიდესი მუშაობა უნდა შეასრულონ რუსეთის ფედერაციის და, კერძოდ, ურალის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1960 წელს, ამ ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმებით, 1955 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 2,2-ჯერ.

უკვე წელს ურალის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს დიდი რაოდენობით უნდა ჩააბარონ და მიჰყიდონ მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი, რძე, ბოსტნეული, კვერცხი და სხვა პროდუქცია. ილაპარაკა რა ურალში საგაზაფხულო თესვის შედეგებზე, მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლის აღების მომზადებისა და განხორციელების ამოცანები, ამასთან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მოსავლის ცალ-ცალკე აღების გამოყენების მნიშვნელობასა და საჭიროებას, ილაპარაკა მეცხოველეობის აღმავლობის საკითხზე.

გადავიდა რა 1956 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების საკითხზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ურალის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ და მიჰყიდონ გაცილებით მეტი პური, ვიდრე შარშან.

დასასრულ ამხ. იასნოვმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ურალის კოლმეურნეები, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მხარს დაუჭერენ სტავროპოლელთა თაოსნობას, მოსავალს აიღებენ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ, ვადამდე შეასრულებენ პურის დამზადების გეგმას და სახელმწიფოს დავალების გადაჭარბებით მისცემენ ბევრ მარცვლეულს, რძესა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრები ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ვ. პ. მილარშჩიკოვი, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. პ. ი. მოროზოვი, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ამხ. ტ. ა. იურკინი, რუსეთის სფსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი ამხ. ნ. ი. სმირნოვი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. პ. დომრაჩოვი, რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის მოადგილე ამხ. ს. პ. არტემიევი, რუსეთის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. პ. სოლნცევი.

ჰოლონეთის აღორძინების დღის აღსანიშნავად

22 ივლისს თავისუფალი პოლონელი ხალხი და მასთან ერთად მთელი სოციალისტური ბანაკის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ პოლონეთის აღორძინების დღეს.

პოლონეთის ეროვნული დღესასწაული ფართოდ აღინიშნება საქართველოშიც. თბილისის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა საუბრები, ლექციები, მოხსენებები, მიძღვნილი პოლონელი ხალხის მიღწევებისადმი სოციალისტურ მშენებლობაში. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, კამოლ-მაუდის კომბინატისა და სხვა საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ავიატორთა საუბრები პოლონელი ხალხის ისტორიულ წარმატებათა, პოლონეთის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიბლიოთეკაში და სხვ. გაიხსნა ლიტერატურის, ფოტომასალების გამოფენები, რომლებიც ასახავენ საზალო პოლონეთის მშრომელთა გამარჯვებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მოგვითხრობენ საბჭოთა და პოლონელი ხალხების ღირთიდღე მზარდ მეგობრობაზე.

საქართველოს უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობის საზოგადოებაში პოლონეთის აღორძინების დღის აღსანიშნავად ეწყობა საღამო. საღამოზე გამოვლენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები, რომლებიც დამსწრეთ გაუზიარებენ შთაბეჭდილებებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ.

კულტურული კავშირი დამყარდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა საქართველოს შორის. პოეტმა ს. ჩიქოვანმა, რომელიც პოლონეთში იყო, შექმნა ახალი პოლონეთის აღმშენებლობისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელიც საგასტროლოდ იყო პოლონეთში. პოლონეთის სტადიონებზე გამოდიოდნენ ქართველი სპორტსმენები. ამას წინათ საქართველოდან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა 37 ტურისტი. მათ შორის არიან წარმოების მუშაკები, პედაგოგები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები.

საქართველოში იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები. (საქდესი).

ლექცია როგორ მივიღეთ სიმინდის უხვი მოსავალი

ამ დღეებში ბრწყინვალედ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონში ლექცია თემაზე — როგორ მივიღეთ სიმინდის უხვი მოსავალი — წაიკითხა მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. პაპავაძემ.

ლექციას დაესწრნენ მოსკოვში გამოფენაზე ჩამოსულ ექსკურსანტთა ჯგუფები სიღნაღის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ახმეტის, გორის, ქარელის, თელავის რაიონებიდან, აჭარის ასს რესპუბლიკიდან და სხვ.

ლექციამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა 1956 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით.

ლექციის შემდეგ სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ი. ღირსაშვილმა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა.

ჭკვიოთ ჭკუნდება ამხ. შ. პაპავაძის ლექცია.

სოფელ წილკნის ამხ. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ მე ვმუშაობ, მდებარეობს მცხეთის რაიონში, მუხრანის ველზე, ზღვის დონიდან 450-500 მეტრ სიმაღლეზე.

ჩვენს კოლმეურნეობას არსებობის 26 წლის ისტორია აქვს. კოლმეურნეობაში ითვლება 438 კომლი. შრომისუნარიანი კოლმეურნეა 468. სახელმწიფო აქტით კოლმეურნეობის მუდმივ სარგებლობაშია 2.278 ჰექტარი მიწა. აქედან მრავალწლიან ნარგავებს (ხეხილი, ვენახი, თუთა) უჭირავს 138 ჰექტარი, საძოვარია 217 ჰექტარი. სახნავი მიწები შეადგენს 1.193 ჰექტარს. დანარჩენი ფართობი დაკავებულია ბუჩქნარებით, კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებით და სხვ.

ამჟამად კოლმეურნეობას ჰყავს 405 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის ძროხა 90 სული, ღორი 86, ცხვარი 1.200 სული და ფრინველი 800 ფრთა.

ჩვენი კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობები მთლიანად სარწყავია. ჰავა ზომიერად თბილია, ზამთარი ხანმოკლე, ზაფხული ცხელი, ხშირად გვალვიანი. ნალექების წლიური რაოდენობა 450-500 მილიმეტრს უდრის. მეტი წვიმა ნალექებისა მაის-ივნისზე მოდის. იცის დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები, რომლებიც ძალიან აშრობენ ნიადაგებს.

წილკნის ამხ. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმამდე რაიონში ერთ-ერთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა. წლების განმავლობაში არ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. დაბალი იყო შრომადღის ღირებულება, რაც სტიმულს უკარგავდა კოლმეურნეებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საკოლმეურნეო შრომაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ საბრძოლო პროგრამად გაიხადეს. ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სწორად დავაკომპლექტეთ საწარმოო ბრიგადები და ფერმები. ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნენ კომუნისტები და კომკავშირელები. ამ ღონისძიებამ კოლმეურნეობა აღმავლობის გზაზე დააყენა, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, რის შედეგად ერთ წელიწადში საგრძნობლად შეიცვალა კოლმეურნეობის სამეურნეო მაჩვენებლები.

თუ 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღეთ 5 ცენტნერი ხორბალი, 19 ცენტნერი სიმინდი, 25 ცენტნერი ბოსტნეული და თივითეულ საფურაჟე ძროხაზე 420 ლიტრი რძე, 1954 წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო მარცვლეული თავთავიანი კულტურები 16 ცენტნერი, სიმინდი 40 ცენტნერი მარცვლად, ბოსტნეული 120 ცენტნერი და თივითეულ საფურაჟე ძროხაზე — 620 ლიტრი რძე.

გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავრეთ 1955 სამეურნეო წელი. 1954 წელთან შედარებით 9,2 ცენტნერით გავადიდეთ სიმინდის საშუალო მოსავალი. ჰექტარზე მივიღეთ 49,2 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, რაც რესპუბლიკაში ყველაზე მაღალ მოსავლად ითვლება. დიდად გაიზარდა ძროხების წველადობა. თივითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 1.726 ლიტრი რძე. 1954-1955 წლებში ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. 1953 წელს მიღებული 400.000 მანეთის ნაცვლად 1954 წელს მივიღეთ ერთი მილიონ 300 ათასი მანეთი, ხოლო 1955 წელს — ერთი მილიონ 350 ათასი მანეთი.

1953 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა შრომადღის ღირებულება, რამაც კიდევ უფრო აამაღლა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. 1954 წელს შრომადღეზე გავანაწილეთ 8 კილოგრამი მარცვლეული და 5 მანეთი ფული, ხოლო 1955 წელს — 8,2 კილოგრამი მარცვლეული და 2 მანეთი ფული. კოლმეურნე ანტონ წიკლაურის ოჯახმა 1955 წელს გამომუშავა 785 შრომადღე და მიიღო 7.187 კილოგრამი მარცვლეული. გიორგი გულაშვილის ოჯახმა 1.022 შრომადღეზე მიიღო 8.380 კილოგრამი მარცვლეული, თუშია ჭალელიშვილის ოჯახმა — 7.035 კილოგრამი მარცვლეული, სოფიო ჯანაშვილის ოჯახმა — 7.412 კილოგრამი, მაშო ქურთაძის ოჯახმა — 5.912 კილოგრამი მარცვლეული და სხვ. უკანასკნელ ორ წელიწადში ავაშენეთ ტიპური საძროხე 150 სული პირუტყვისათვის, საღორე — 120 სული ღორისათვის, ფარეხი — 1.000 სული ცხვრისათვის და საფრინველე — 1.000 ფრთა ფრინველისათვის. გარდა ამისა, აშენდა 750 ტონის ტევადობის სასილოსე ორმოები და წყლის საკოლმეურნეო წისქვილი.

კოლმეურნეობა განმტკიცდა როგორც მეურნეობრივად, ისე ეკონომიურად. სწრაფად შეიცვალა კოლმეურნეთა ეკონომიური მდგომარეობა. კოლმეურნეები შეძლებულად და საიმედოდ ცხოვრობენ. 1954-1955 წლების განმავლობაში 25 კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი, ხოლო 27 სახლი მშენებლობის პროცესშია.

წილკნელი კოლმეურნეები ამ წარმატებას უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე კოლმეურნეთა ყურადღება მიიქცია ისეთმა უძვირფასესმა კულტურამ, როგორიც არის სიმინდი. ეს კულტურა გახდა ჩვენი კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა სიმდიდრის ნამდვილი წყარო.

1955 წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ 240 ჰექტარზე დათესა სიმინდი. აქედან 173 ჰექტარზე მარცვალი ავიღეთ და, როგორც ზემოთ ვთქვით, თივითეულ ჰექტარზე საშუალოდ 49,2 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ. ბრიგადირმა ზ. ცოცაიშვილმა 45 ჰექტარი ფართობის თივითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 74,5 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეებს. კომუნისტმა ანტონ წიკლაურმა მასზე მოსავლად მიჩენილ ერთ ჰექტარ ნაკვეთზე მიიღო 12 ტონა სიმინდი, ვანო ამირაძემ — 11 ტონა, გრიგოლ პატაშურმა — 12 ტონა, შალვა კახუაშვილმა — 10 ტონა.

შ. პაპავაძე.

• • •

რა ღონისძიებების განხორციელებით გავზარდეთ სიმინდის მოსავლიანობა? კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ აქტივთან ერთად პირველ რიგში საჭიროდ ცნეს საწარმოო ბრიგადების სწორად დაკომპლექტება. მემინდვრეობის ბრიგადებში გავაერთიანეთ ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც უკეთ ფლობდნენ სიმინდის კულტურის მოყვანის აგროტექნიკას. ბრიგადირებად და მერგოლურებად შევარჩიეთ საქმის მცოდნე და ენერგიული კოლმეურნეები. ყველა ბრიგადას და რგოლს დავუწესეთ მოსავლიანობის გეგმები, სასიმინდე ნაკვეთები მოსავლელად მივუჩინეთ ბრიგადებს, რგოლებს და ცალკე კოლმეურნეებს. ბრიგადები, რგოლები, ყველა კოლმეურნე ჩავაბით სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი. ასე დაიწყო ბრძოლა სიმინდის მაღალი მოსავლისათვის. კოლმეურნეთა მისწრაფებას მოსავლიანობის გადიდებისათვის კიდევ უფრო აძლიერებს ანაზღაურების პრემიალური სისტემა, რაც კოლმეურნეობაში არის შემოღებული. მაგალითად, გასულ წელს კოლმეურნეებზე პრემია-წინამატის სახით გაიცა 160 ტონა სიმინდი. კოლმეურნე ა. წიკლაურმა პრემიის სახით მიიღო 20 ცენტნერი სიმინდი, ვ. ამირაძემ — 16 ცენტნერი, ნ. ჭავთარაძემ — 17 ცენტნერი, ე. მასპინძელაშვილმა — 19 ცენტნერი.

მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთანავე მოვაწყეთ ნიადაგის აოშვა 5-8 სანტიმეტრ. ნიადაგის ძირითადი ხვნა კი ჩავატარეთ წინასახნისიანი გუთნებით 27-30 სანტიმეტრ სიღრმეზე. მოხნული ნაკვეთი დაუფარცხავი დავტოვეთ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ძირითადი მოხვნის წინ ნიადაგში საშუალოდ ჰექტარზე შევიტანეთ მინერალური სასუქები: სუპერფოსფატი 500 კილოგრამი და კალიუმის მარილი 70 კილოგრამი.

ადრე გაზაფხულზე მზრალად ხნული დავფარცხეთ კბილებიანი ფარცხით, ხოლო თესვის წინ მოვახდინეთ კულტივაცია თეფშებიანი კულტივატორით 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე.

1954 წლის ივლისში მოვხვნით 30 ჰექტარი ყამირი 40 სანტიმეტრ სიღრმეზე, რაც დატოვებულ იქნა გაზაფხულამდე. ადრე გაზაფხულზე ყამირი ნაკვეთები გარდიგარდმო გადაიხნა 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე, რის შემდეგ მოვაწყეთ კულტივაცია მძიმე კულტივატორით 12-15 სანტიმეტრ სიღრმეზე. ამ ფართობებიდან აღებული მოსავალი ცალ-ცალკე აღირიცხა და ასეთი სურათი მივიღეთ:

30 ჰექტარი ათვისებული ყამირის ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 90 ცენტნერი სიმინდი მარცვლად;

მზრალზე, სადაც წინამორბედი მოდგომის ხორბალი იყო, 105 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი;

გვიანი მზრალის ნაკვეთზე, სადაც წინამორბედი სიმინდი იყო, 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ საშუალოდ 20 ცენტნერი სიმინდი. ამრიგად, ასეთი დაკვირვებით ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ მრავალი წლის გამოცდილება, რომ მაღალი მოსავლის მისაღებად სიმინდი უნდა დავთესოთ უსათუოდ მზრალად ხნულზე. ამავე დროს უკეთესია, რომ წინამორბედი იყოს თავთავიანი კულტურა.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ სათესლე მასალის შერჩევას და თესვის ხარისხს. ძირითადად ვთესავთ სასელექციო სადგურის მიერ გამოყვანილ მაღალმოსავლიან ჯიშებს, როგორიც არის „ქართული კრუგი“ და „ქართული № 1“. წინასწარ ვახდენთ სათესლე ნაკვეთების შერჩევას, სათესლე ნაკვეთში ვარჩევთ სათესლე ტაროებს. ტაროები უნდა იყოს სიგრძით არანაკლებ 18 სანტიმეტრისა, ტაროს თავი და ბოლო სავსე უნდა იყოს მარცვლით. დაავადებული არ უნდა იყოს. ზამთარში სათესლე მასალას სპეციალურ მშრალ სასიმინდეში ვინახავთ. თესვის ვადების დადგომამდე ტაროებს თავსა და ბოლოზე ვაცლით მარცვალს 2-3 სანტიმეტრზე და სათესლედ ვიყენებთ შუა ნაწილს, სათესლე მასალის ლაბორატორიაში შეუმოწმებლად თესვას არ ვაწარმოებთ. სიმინდის თესვას ვიწყებთ 5-10 აპრილიდან და ვამთავრებთ 1 მაისამდე. ამ პერიოდში ჩვენთან ნიადაგის ტემპერატურა თესლის ჩათესვის სიღრმეზე აღწევს 10-12 გრადუსს, რაც საკმარისია სიმინდის გაღივებისათვის.

თესვას ვაწარმოებთ პროგრესული მეთოდით — კვადრატულ-ბუდობრივად. ჰექტარზე ვთესავთ 30 კილოგრამ თესლს, ბუდეებს შორის მანძილია 70 სანტიმეტრი. ჰექტარზე თავსდება 20.400 ბუდნა. თითო ბუდნაში გამოხშირვის დროს ვტოვებთ მხოლოდ ორ ცენტნერს, ე. ი. ჰექტარზე განვითარდება 40 ათას ძირზე მეტი სიმინდი.

ორიოდე სიტყვა ნათესის მოვლაზე. როგორც კი სიმინდი სამ ფოჩს გაიკეთებს, ვატარებთ კულტივაციას 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე ორივე მიმართულებით. პირველი კულტივაციის შემდეგ ვაწარმოებთ ძირებში გათოხნას და გამოხშირვას. უხვი მოსავლის მიღება შეუძლებელია, თუ პირველი თოხნის პერიოდში არ ჩატარდა გამოხშირვა. პირველი კულტივაციიდან 10-15 დღის შემდეგ ვატარებთ მეორე კულტივაციას, ხოლო შემდეგ მეორე თოხნის წინ ვაწარმოებთ გამოკვებას სრულფასოვანი სასუქით, რაც ჰექტარზე შეგვაქვს 150 კილოგრამი. ამავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ სიმინდმა ჩვენს ნიადაგებში ხშირი ბარტყობა იცის. ამისათვის აუცილებელია ბარტყის შეცლა ხელით, რასაც რამდენჯერმე ვახდენთ მეორე თოხნის შემდეგ. ზოგიერთ შემთხვევაში ამის შემდეგაც შესაძლებელია საჭირო გახდეს კულტივაცია და თოხნაც. ეს დამოკიდებულია ნაკვეთის მდგომარეობაზე. თუ იგი სწრაფად სარეველადება, მაშინ მესამედაც ვთოხნით, მაგრამ ასეთ შემთხვევას იშვიათად ვხვდებით. ზაფხულის განმავლობაში სიმინდს სამჯერ ვრწყავთ.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიმინდის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებას. სიმინდის აღებას ხელით ვაწარმოებთ, ვინაიდან მტს-ი ჯერჯერობით უზრუნველყოფილი არ არის სიმინდის ასაღები კომბაინებით. ეს ცოტა არ იყოს ართულებს საქმეს. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაკლი მალე გამოსწორდება. მოსავლის აღებას ვიწყებთ მარცვლის სრული სიმწიფის პერიოდში. ეს პერიოდი ჩვენთან სექტემბრის ბოლო ათწლეულებია. მაგალითად, 1955 წელს სიმინდის აღება დავიწყეთ 25 სექტემბერს და დავამთავრეთ 10 ოქტომბერს. მარცვლე რიგში ვიღებთ ტაროს, რომელიც გაშრობად მიდის საველე ფარდულებში, ხოლო შემდეგ ვიღებთ ჩალას. მას გვრავთ კონებად და გაგვაქვს პირუტყვის საზამთრო სადგომებთან, სადაც ვდგამთ ზვინებად. გასულ წელს ჰექტარზე მივიღეთ 200 ცენტნერი სიმინდის ჩალა.

1955 წელს ჩვენს მეზობლად, ნატახტარში მდებარე სამეცნიერო დაწესებულებას—საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის მუშაკების დახმარებით 2 ჰექტარ ფართობზე გამოვიყვანეთ სიმინდის ჰიბრიდული თესლი. ამისათვის გამოვიყენეთ მდედრობითი „ქართული კრუგი“ და მამრობითი „კლარაჯა“. მივიღეთ კონდიციური თესლი ჰექტარზე 40 ცენტნერი მარცვლად. მომდინარე წელს ჰიბრიდული თესლით დავთესეთ 100 ჰექტარი. გარდა ამისა, ახალი ჰიბრიდული სათესლე მასალის მისაღებად დათესილია 12 ჰექტარი. ასე რომ 1957 წლიდან კოლმეურნეობა მთლიანად გადავა ჰიბრიდული თესლით თესვაზე.

წინათ ჩვენი კოლმეურნეობა ნაწვერალზე სიმინდს არ თესავდა. ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება დავიწყეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ. 1955 წელს ნაწვერალზე დავთესეთ 140 ჰექტარი სიმინდი. ნიადაგი მოვხანით 18-22 სანტიმეტრ სიღრმეზე თავთავიანი კულტურების აღებისთანავე. თესვა 5 ივლისს დავიწყეთ და 10 დღეში დავამთავრეთ. ნაწვერალზე სიმინდი დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივად. თესვის დამთავრებისთანავე მოვრწყეთ ფართობი. აღმოცენების შემდეგ ნათესები დავფარცხეთ, ხოლო მცენარეზე 4-5 ფოთლის განვითარებისას ჩავატარეთ მწკრივთა შორის კულტივაცია ორმხრივი მიმართულებით, მეორე კულტივაცია კი—20 დღის შემდეგ. კულტივაციის პარალელურად ნათესები მეორედ მოვრწყეთ. ხელით თოხნა და გამოხშირვა აღარ დასჭირებია. სიმინდი კარგად განვითარდა, მისი სიმაღლე 230-260 სანტიმეტრს აღწევდა. ტაროებმა რძისებრი სიმწიფე დაიწყო 20 ოქტომბრისთვის.

ნაწვერალზე დათესილი სიმინდი რძისებრ სიმწიფეში დასასილოსებლად ავიღეთ 12 ჰექტარზე. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 117 ცენტნერი ტარო. დავასილოსეთ 140 ტონა ასეთი ტაროები. 43 ჰექტარი ავიღეთ მწვანე მასად ტაროსთან ერთად და ასე დავასილოსეთ 730 ტონა. ასეთ შემთხვევაში საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 170 ცენტნერი. დანარჩენი 80 ჰექტარი გამოვიყენეთ ჰიბრიდულ მწვანე საკვებად. სიმინდს პირუტყვს ვაძლევდით მწვანე მასის სახით, მისი მთლიანი აჩრა დავიწყეთ მაშინ, როცა მცენარემ 60-70 სანტიმეტრს მიაღწია. ამ ფართობიდან მწვანე მასის მოსავლიანობამ ჰექტარზე 165 ცენტნერი შეადგინა.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანამ დიდად შეუწყო ხელი საკვები ბაზის განმტკიცებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას. მიმდინარე სამეურნეო წლის ცხრათვის განმავლობაში — 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ივლისამდე — ძროხების საშუალო წველადობა გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთიორად გაიზარდა, ანუ მიღებულია 1.962 კილოგრამი რძე ნაცვლად 950 კილოგრამისა.

სიმინდის დამუშავების აგროტექნიკის გაუმჯობესებამ და მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდამ კოლმეურნეობას საშუალება მისცა ყოველი ცენტნერი მარცვლეულის წარმოებაზე დახარჯულ შრომადღეთა რაოდენობა შეემცირებინა 1,9-დან 1,4-მდე.

ყოველ ცენტნერ რძეზე დახარჯული შრომა ერთი წლის განმავლობაში შემცირდა 3,57-დან 2.22 შრომადღემდე. ყოველი კილოგრამი რძის თვითღირებულება თითქმის ორჯერ შემცირდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის წინ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მიმართეს საქართველოს ყველა მემინდვრეს, მეცხოველეს და მექანიზატორს, რათა გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის. ამ მოწოდებას ყველგან მხურვალედ გამოეხმაურნენ.

კოლმეურნეობა საკმარისად არა თვლის 1955 წლის სიმინდის მოსავალს. ჩვენებით რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება ვიკისრეთ მიმდინარე წელს მივიღოთ სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 55 ცენტნერი მარცვლად. ამისათვის ყველა პირობა გვაქვს და კიდევაც შევასრულებთ. საუკეთესო აგროვადებში დავთესეთ 240 ჰექტარი სიმინდი. პირველი თოხნა და კულტივაცია დროულად ჩავატარეთ. სარწყავი არხები წესრიგზეა მოყვანილი და საჭირო შემთხვევაში ნათესებს მოვრწყავთ. ჩვენი კოლმეურნეები, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, კიდევ უფრო თავდადებით იბრძვიან სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

პლასტმასის ნაკეთობათა ოსტატი

ა. თ. მიხაილიუკი.

• • •

თბილისის პლასტმასის ქარხანაში მუშაობს კომკავშირელი გოგონა ალა თევდორეს ასული მიხაილიუკი. იგი მომსახურებას უწევს იმ საწნეხ დანადგარებს, რომლებზეც მზადდება ფართო მოხმარების პლასტმასის ნაწარმი.

სულ სამი წელიწადია, რაც ეს გოგონა მოვიდა საწარმოში და უკვე ისე საფუძვლიანად აითვისა ტექნიკა, რომ სხვები ზოგჯერ ასეთ დახელოვნებას გაცილებით უფრო დიდ ხნის მუშაობითაც ვერ აღწევენ. ალა მიხაილიუკი სიამოვნებით უზიარებს თავის გამოცდილებას მის გვერდით მომუშავეებს.

— უწინარეს ყოვლისა, — მოუთხრობს იგი ამხანაგებს თავისი გამოცდილების შესახებ, — შევისწავლე პლასტმასის ნაკეთობათა დაწნეხვის ტექნოლოგია, გავერკვიე, თუ როგორ მუშაობს საწნეხი დანადგარი, რა მომენტები ახდენენ გავლენას ნაკეთობის ხარისხზე მათი დაწნეხვის პროცესში. როდესაც ტექნოლოგიის საკითხებში გავერკვიე, ვიგრძენი, რომ ეს კიდევ არ იყო საკმარისი მაღალნაყოფიერად მუშაობისათვის. პრაქტიკამ მიჩვენა, რომ ამისათვის საჭირო იყო დამხმარე დროის შემცირება, ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვა. დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა ხერხი უნდა გამომენახა ამ დამხმარე დროის შესამცირებლად და დავასკვენი, რომ საჭირო იყო სამუშაო ადგილის უკეთესად მოწყობა.

ასეც მოხდა. ალა მიხაილიუკი ყოველთვის გულდასმით ემზადება ცვლაში მუშაობის. დაწყებისათვის. იგი წინა ცვლაში მომუშავისაგან შეიტყობს, თუ რა შეფერხებებს ამყარებს დანადგარი, რა გარემოება გაწელდა ხელს წინა ცვლაში მომუშავეს, წინასწარ იღებს ზომებს, რომ აიცილოს თავიდან ეს შეფერხებები, მოიმარაგოს ყველა საჭირო ხელსაწყო მოსალოდნელ წვრილმან შეფერხებათა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. შემდეგ იგი ერთხელ კიდევ გულდასმით ამოწმებს დანადგარის ტექნიკურ გამართულობას, სინჯავს საწნეხი ყალიბების ვარგისიანობას, დასაწნეხი მასალის ხარისხს.

დაწნეხვის დროს ა. მიხაილიუკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საწნეხ ფორმებში მასალის ღუზირების ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვას, ვინაიდან ამაზე დამოკიდებულია არა მარტო ნაკეთობის ხარისხი, არამედ ნედლეულის გადახარჯვა — გადაუზარჯველობის საქმეც. არანაკლებ ყურადღებას აქცევს იგი წნეხვის დროს ტექნოლოგიით გათვალისწინებული ტემპერატურული რეჟიმის ზუსტად დაცვას და წნეხვის ხანგრძლივობის ზომიერებას.

რასაკვირველია, სხვადასხვა მასალა დაწნეხვისას სხვადასხვა რეჟიმს მოითხოვს. თვითეული სახის მასალას თავისი დამახასიათებელი თავისებურებები აქვს. ამიტომ საჭიროა საწნეხ დანადგარზე მომუშავემ მოფიქრებულად შეამოწმოს მის განკარგულებაში არსებული მასალა, პირველივე საცდელი დაწნეხვისასვე შეამჩნიოს ეს თავისებურებანი და მათი გათვალისწინებით უზრუნველყოს წნეხვის დროს სათანადო რეჟიმის შერჩევა. ა. მიხაილიუკი ამ მხრივ დიდ დაოსტატებას იჩენს.

საწნეხე დანადგარზე მუშაობისას მთელი რიგი ოპერაციები ხელით სრულდება. იმ დროს, რომელიც ამ ოპერაციების ხელით შესრულებას ხმარდება, უწოდებენ დამხმარე დროს. ა. მიხაილიუკმა შეიმუშავა ოპერაციათა შესრულების ისეთი ღეღეები, რომ ახლა თავისუფლად ახერხებს არა ორი, როგორც საერთოდ არის მიღებული, არამედ სამი საწნეხი დანადგარის მომსახურებას.

ყოველივე ამის შედეგად პლასტმასის ნაკეთობათა სახელოვანი ოსტატი, კომკავშირელი ალა მიხაილიუკი წელს გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 200-210 პროცენტით ასრულებს.

დ. ამირანიძე.

სახელოვანი შახტმშენებელი

ნ. ი. ბახტაძე.

• • •

საქართველოს ნოვატორ შახტმშენებლებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა ნიკოლოზ ისაკის-ძე ბახტაძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ტყვარჩელში მუშაობს. იგი ამჟამად ხელმძღვანელობს სამთო გამონამუშევართა გამყვანების ბრიგადას, რომელშიც 19 კაცი შედის. ეს ბრიგადა მოწინავეა მთელ რესპუბლიკაში, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ყველა რაიონში და რესპუბლიკის გარეთაც.

ნ. ბახტაძე თავისი ბრიგადის წევრებს თავიდანვე უნერგავს შრომითი თავდადების სულისკვეთებას, იმის შეგნებას, რომ თუ გვინდა სამშობლოს მეტი ქვანახშირი მივცეთ, საჭიროა მეშახტეებს სწრაფად და საუკეთესოდ გავუმზადოთ სამუშაო ადგილი, სწრაფად გავიყვანოთ სამთო გამონამუშევრები და საექსპლოატაციოდ მოვამზადოთ ქვანახშირის ფენები.

მართლაც, ნ. ბახტაძის ბრიგადამ არაერთხელ გვიჩვენა თავისი კარგი მუშაობა, სამთო გამონამუშევართა გაყვანის მაღალი ოსტატობა. ახალი შახტის მოწყობისას ბრიგადას მიანდეს მთავარი შტოლნის გაყვანა. ბრიგადამ ისე აწყო თავისი მუშაობა, რომ ყოველთვიურად 120-130 გრძივი მეტრით წინსვლას მიაღწია, მაშინ როდესაც გეგმით ყოველთვიური წინსვლა გათვალისწინებული იყო 50 გრძივი მეტრით.

ბახტაძის ბრიგადის წარმატებას ხელს უწყობს ბრიგადის წევრ შახტმშენებელთა მტკიცე დარაზმულობა, კოლექტიურობა, თვითეულის პასუხისმგებლობის გრძნობა მთელი ბრიგადისადმი და ბრიგადისა — თვითეული წევრისადმი, დისციპლინის სიმტკიცე, სამუშაოზე ძალთა მიზანშეწონილი განაწილება, ურთიერთ შრომითი დახმარება და მტკიცე მეგობრობა. ამიტომ შახტმშენებლები ხალისით მიილტვიან ამ ბრიგადაში, სადაც ისინი ბევრს სწავლობენ, გამოცდილებას იმდიდრებენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს ნ. ბახტაძის ბრიგადის მუშაობა, რათა მისი გამოცდილება სხვა შახტებში გადაეტანათ. აღმოჩნდა, რომ ამ ბრიგადაში კარგად არის დაყენებული სამახტო მექანიზმების გაცდენასთან ბრძოლა, პერფორატორებს, ჭანსატვირთ მექანიზმებს სრული დატვირთვით იყენებენ, მექანიზმებზე მუშაობა ათვისებული აქვს ბრიგადის ყველა წევრს და ამით სამთო გამონამუშევრის გაყვანაში დიდ წინსვლას აღწევენ.

ეს გამოცდილება გადატანილ იქნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტში, რამაც დიდად დაეჩქარა სამთო გამონამუშევართა გაყვანაში ტყიბულელების წინსვლა. თუ წინათ აქ ყოველ დღეღამეში 1,3 გრძივი მეტრით წინსვლას აღწევდნენ ნ. ბახტაძის ბრიგადის გამოცდილების დანერგვის შემდეგ წინსვლამ 3 გრძივ მეტრს მიაღწია.

ნ. ბახტაძე დიდ ინტერესს იჩენს შახტმშენებლობაში ყოველგვარი სიახლისადმი, განსაკუთრებით სამშახტო ტექნიკის ათვისებისადმი და შემდეგ, როგორც ბრიგადირი, იგი მთელ ბრიგადას ეხმარება ამ ახალი ტექნიკის ათვისებაში. ეს დიდად უადვილებს ბრიგადას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლას, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და თვითეული შახტმშენებლის გამომუშავების ზრდას.

ნ. ბახტაძის ბრიგადის თვითეული წევრის ყოველთვიური გამომუშავება ხშირად 4-5 ათას მანეთს აჭარბებს. ტყვარჩელელ მეშახტეებს ნ. ბახტაძემ იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი აქ მუშაობს, 40 მაღალკვალიფიციური მეშახტე და შახტმშენებელი აღუზარდა.

ვ. ტყემალაძე.

ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ თანამშრომელი.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

ივლისში უკეთესად მუშაობენ

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). შრომაში ახალი წარმატებებით ეგებება რკინიგზელის საკავშირო დღეს რკინიგზის ქუთაისის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი. წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება მელიანდაგეებმა 138 პროცენტით შეასრულეს.

რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ლიანდაგის სარემონტო კოლონა, რომელსაც ინჟინერი დ. მოჩალიშვილი ხელმძღვანელობს. კოლონამ ლიანდაგის კაპიტალურ სამუშაოთა ექვსი თვის დავალება 126 პროცენტით შეასრულა და ივლისში კიდევ უკეთესად მუშაობს.

წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს ლიანდაგის ბრიგადირები ს. ობოლაძე და ვ. ლანჩავა, აგრეთვე ლიანდაგის შემკეთებელი მუშები ი. ბაზაძე, ნ. თავაძე, ლიანდაგის შემომვლელები პ. კეთილაძე, ნ. ბუხაიძე, გადასასვლელის დარაჯები ი. მაჩაიძე, ვ. ივანენკო და სხვები.

მძიმეწონიანი მაჯარებლების ჭარების ოსტატები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი რკინიგზელები, რომლებიც შორაპნის და ფოთელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, თავდადებულად შრომობენ რკინიგზელის დღის წარმატებით შესვედრისათვის. ჭიათურელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის გაზიდვის ნახევარი წლის დავალება, მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს ათასობით ტონა მარგანეცი.

რკინიგზელები კარგად მუშაობენ ივლისშიც. მარტო ივლისის პირველ კვირაში ჭიათურიდან ასამდე მძიმეწონიანი შემადგენლობა წაიყვანეს. მძიმეწონიანი მატარებლების ტარებაში დახელოვნებული არიან ორთქლმავლის მემანქანეები ო. საყვარელიძე, გ. ლაღიძე, ქ. შუღლაძე, პ. ფერაძე და სხვები. მანევრირებაზე კარგად მუშაობენ აგრეთვე მემანქანეები გ. მესირიძე, პ. მოდებაძე და სხვები.

უწუნოდ და შეწყობილად მუშაობს ის ცვლა, რომელსაც სადგურის მორიგე ა. ნადირაძე ხელმძღვანელობს. ეს ცვლა მტკიცედ ინარჩუნებს სადგურის გარდამავალ წითელ დროშას.

მატარებლების შეუფერხებელ მოძრაობას და ტვირთზიდვის გეგმების შესრულებას ხელს უწყობენ მოწინავე რკინიგზელები შ. ჩაფიძე, ქ. ბიწაძე, ბ. კაპანაძე, ი. მოდებაძე, ვ. მჭედლიძე, ვ. შუკაიძე, ბ. მახათაძე, ახალგაზრდები პეტრე და გივი ჩაფიძეები და სხვ.

ჭიათურელები იბრძვიან შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ეხმაურებიან წერილს — „სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის“

დროზე გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

განვლილი სასწავლო წლის შედეგები ცხადყოფს, რომ წულუკიძის რაიონის სკოლებში ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, გაუმჯობესდა სასკოლო კომკავშრომი და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა და მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობა. ინერგება პოლიტექნიკური სწავლება. დღითიდღე უმჯობესდება სასწავლო-მატერიალური ბაზა, ეწყობა სახელოსნოები, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები. 1955-1956 სასწავლო წელს რაიონის სკოლებს შეემატა 2 საშუალო სკოლა.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით რაიონის მეტწილ სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება წარმატებით დაიწყო.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის ზუსტად განხორციელების მიზნით დროულად ჩატარდა სკოლების სამოქმედო ტერიტორიაზე პირველ კლასში მისაღებ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. რაიონის სკოლები უზრუნველყოფილი არიან პედაგოგიური კადრებით. ახალ სასწავლო წელს სკოლებს 11 ახლადკურსდამთავრებული მასწავლებელი შეემატება. 32 მასწავლებელი სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ იღებს უმაღლეს განათლებას. არადაგების პერიოდში მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი გაივლის დახელოვნების კურსებს. გაუმჯობესდება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

სერიოზული სამუშაოებია გათვალისწინებული სასკოლო შენობათა და დგამ-ავეჯის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის. წელს კაპიტალური რემონტი უკეთდება სამი საშუალო და ოთხი რვაწლიანი სკოლის შენობას, ხოლო მიმდინარე რემონტი — 30 საშუალო, 8 რვაწლიანი და დაწყებითი სკოლის შენობებს, რაზეც 254 ათასი მანეთი დაიხარჯება. სასკოლო შენობებთან ერთად შეკეთდება 965 მერხი, 147 დაფა, 158 სკამი და სხვ.

სოფელ გორდის საშუალო სკოლის დირექცია (დირექტორი ვ. ბუაძე) დროულად შეუდგა მზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. სკოლის შენობას კაპიტალური რემონტი უკეთდება, რაზეც 40 ათასი მანეთი დაიხარჯება. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლას ექნება სახელოსნოს ოთახი, სადაც მოეწყობა როგორც სადურგლო, ისე საზეინკლო განყოფილება.

ორგანიზებულად დაიწყო კაპიტალური რემონტი სოფელ კინჩხის საშუალო სკოლაში. სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის უკვე მზად არის. წარმატებით მიმდინარეობს მზადება ქალაქის პირველ და გოჩა-ჯიხაიშის საშუალო, ივანდიდის რვაწლიან და სხვა სკოლებში.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ნაკლოვანებებიც არის. სოფლების ნახახულევისა და ახალბედიულის რვაწლიან სკოლებში კაპიტალური რემონტი ფერხდება. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ რაიონის სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ხე-ტყის მასალით. რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეირ. ბახტაძე აცხადებს, ხე-ტყის მასალის ფონდი გამოყოფილია, მაგრამ მასალა სამტრედიის ბაზაში არ არისო.

შეფი ორგანიზაციები საკმაო დახმარებას არ უწევენ სკოლებს. სოფლების ძეძილეთისა და დედალაურის საშუალო და ღვედის 8-წლიან სკოლებში მოწყობილი არ არის სახელოსნოები.

არ სრულდება რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილება სოფელ დედალაურის საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ. სოფელ კინჩხის საშუალო სკოლის მასწავლებელთა სახლის მშენებლობა, რაც თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო, ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლებში სასაუზმეებისა და სასკოლო ბუფეტების მოწყობას.

ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებანი და წარმატებით შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

გ. გეგუჩაძე.

მშრომელთა დასვენების საღამო

ამ დღეებში მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კულტურის სახლის საზაფხულო ბაღში გაიმართა ქალინინის რაიონის მშრომელთა დასვენების საღამო, რომელსაც დაესწრნენ მუშები, მოხამსახურეები, პენსიონერები ოჯახის წევრებით, სტუდენტები და მოსწავლეები.

ამ დღეს ბაღში ბევრი სხვადასხვა საინტერესო გართობი იყო. მოეწყო შეჯიბრება ჭადრაკში, შაშში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. გაიმართა ბევრი სახავშვო თამაშობა, გართობა, სიმღერა და ცეკვა, მხატვრული კითხვა, აგრეთვე ლიტერატურული ვიქტორინები მოზრდილთათვის.

ბაღში უკრავდა სასულე ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ეულეტაშინის ხელმძღვანელობით, მუშაობდა სამკითხველო, მოწყობილი იყო წიგნის კიოსკი, სადაც იყიდებოდა პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და სახავშვო წიგნები. თვალსაჩინო აგიტაციისათვის სტენდებზე გამოფენილი იყო მასალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ, რაიონის მოწინავე ადამიანებისა და იმ დიასახლისების ფოტოსურათები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საღამოსათვის სპეციალურად გამოშვებულ იქნა იუმორისტულ-სატირული კედლის გაზეთი საყოფაცხოვრებო ნაკლოვანებათა კრიტიკით. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. იმედაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა“. მოეწყო მშრომელთა მასობრივი სეირნობა.

დასასრულ სახლის საზაფხულო თეატრში დედაქალაქის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში წარმატებით მუშაობს საქსოვი საამქროს უბანი, რომელსაც ოსტატის მოწინავე თანაშემწე გ. კუტივაძე ხელმძღვანელობს. სურათზე: გ. კუტივაძე (მარცხნივ) მითითებას აძლევს მჭსოველს ლიანა მელაძეს.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

მარნეულის რაიონმა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა ვადამდე შეასრულა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 18 ივლისს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, სიმინდის გამოკლებით, ვადამდე შეასრულეს. მტს-ების მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

გარდაბნის რაიონმა დაამთავრა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა, რომლებიც იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, 18 ივლისს 15 სამუშაო დღეში დაამთავრეს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება.

ხე-ტყე გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის სატყეო მრეწველობის კოლექტივმა ხე-ტყის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 112,2 პროცენტით შეასრულა.

შრომაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ავტომძღოლებმა მ. ტიბუამ, ლ. ყორშიამ, ვ. მატროსოვმა, ტრაქტორისტებმა ვ. ნიკოლაევმა, ნ. ცმაკნომ, ა. როგავამ, ხის მჭრელებმა მ. სოლოვიოვმა, კ. ჭიჭაღუამ და მ. ფიფიამ.

სატყეო მრეწველობაში მექანიზაციის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები

„ლიზი მაკ-კეი“

დიდი სისწრაფით მიჰქრის მატარებელი. შავკანიანებისათვის განკუთვნილ ვაგონში მეძავი ქალი ლიზი მაკ-კეი ზის. მოულოდნელად ვაგონში შეიპარება გალეშილი, გათავხედებული თეთრკანიანი ტედი. სრულიად უმიზეზოდ იგი ჩხუბს აუტეხს და მოკლავს ერთ ზანგს. მეორე შავკანიანმა სიდნეიმ გაქცევით უშველა თავს. ასე იწყება პიესა „ლიზი მაკ-კეი“.

მკვლელობა მოხდა. დამნაშავე შეპყრობილია. ტედი უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. მაგრამ ამუშავდა კაცობამიათა, ბობოლათა, დოლარების მფლობელთა ხროვა. მათ უნდა იხსნან დასჯისაგან თავიანთი მოძმე თეთრკანიანი.

— როგორ, შავკანიანის მოკვლისათვის დაისაჯოს ამერიკელი? — ასე მსჯელობენ ეს უხამსნი. რა ვუყოთ, რომ უმიზეზოდ მოკლეს ზანგი. ის ხომ სრულფასოვანი ადამიანი არ არის, დაბალი რასისაა. ისმენთ სცენიდან ამ კაცობამიების ასეთ ტირადებს და ერუანტელი გვევლით ტანში. მაგრამ მივყვებით პიესის მსვლელობას.

როგორ მიაღწიონ თავიანთ ამ მიზანს და იხსნან დასჯისაგან ტედი? შეთხზეს ვერსია, თითქოს შავკანიანები გაუპატიურებას უპირებდნენ ლიზი მაკ-კეის, მას გამოესარჩლა ტედი და თავდაცვის მიზნით მოკლა ზანგი. მაგრამ ამ ვერსიას ხომ დამტკიცება უნდა. ეს ადვილი საქმეა, ფიქრობენ კომბინატორები. ლიზი ხომ სხეულით მოვაჭრეა. მისი მოსყიდვა ადვილია. და დაიწყო ლიზის გადაბირების ცდები, მოსყიდვა, მუქარა. მსუბუქი ყოფაქცევის ლიზი სენატორ კლარკზე, მის შვილ ფრედზე და მათს დამქაშებზე ფაქიზი ღიმოჩნდა. კაპიტალისტურმა რეჟიმმა ის ცხოვრების გზას აატდინა, მაგრამ მასში ადამიანობა ჯერ კიდევ არ არის ჩამკვდარა. ენატკბილად მოუბარმა და გაქნილმა სენატორმა მოატყუა ლიზი და ყალბ ჩვენებაზე მოაწერინა ხელი. მაგრამ ლიზიმ შეიგნო თავისი შეცდომა. იგი მზად არის დაიტანჯოს, საპყრობილეში ჩაჯდეს, ოღონდ კლარკის „საქმიანობას“ ფარდა ახადოს. აი ჩონჩხი ქან-პოლ სარტრის მეტად საყურადღებო პიესისა.

ვისაც კი წაკითხული ჰქონდა ეს პიესა, სპექტაკლის დაწყებამ ცოტა გააოცა. პიესა ერთ მოქმედებიანი და ორ სურათიანია. თეატრს იგი გადაუმუშავებია და სამმოქმედებიანად გადაუკეთებია, სცენებიც დაუმატებია. სარტრის ტექსტის მიხედვით მოქმედება ლიზის ოთახში იწყება და მკვლელობის ამბავს ლიზის და ფრედის საუბრიდან ვტყობილობთ. თეატრმა კი გვიჩვენა მატარებელში მომხდარი მკვლელობა. სწორად მოიქცა თუ არა თეატრი, პიესის ასეთი მონტაჟი რომ მოახდინა? ვფიქრობთ, სწორად მოიქცა. ეს სცენა ააშკარავებს, რა უწწეო მდგომარეობაში იმყოფებიან ზანგები და როგორ აწამებენ მათ „ცივილიზატორები“. ჩამატებული ადგილების შემეცნებითი მნიშვნელობაც ისევე დიდია, როგორც მთელი პიესისა.

მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის მთელი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია ამ პიესის დადგმას. რეჟისორს, მხატვარს, კომპოზიტორს და მსახიობთა მთელ კოლექტივს დიდი შემოქმედებითი შრომა გაუწევიათ, და შედეგად მივიღეთ უდავოდ მონოლითური, ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობის სპექტაკლი.

მაყურებელი პირდაპირ იხიბლება რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ ბ. ი. ვოლკოვის ოსტატობით. ყველა სცენა გაფორმებულია ფაქიზი გემოვნებით, განსაკუთრებით სენატორ კლარკის ბინა.

რეჟისორის ი. ანისიმოვა-ვულფის ყველა მიზანსცენა ლამაზი და გამართლებულია. რაგინდ წუნია ადამიანი იყოთ, ვერც ერთ მიზანსცენაზე ვერ იტყვით, რომ იგი მოვლენათა მიზანშეწონილი და მხატვრული არ იყოს. მიზანსცენა ხომ რეჟისორის ენაა, მისი გემოვნება, და რაოდენ მეტყველია ეს ენა, ამის დასამტკიცებლად გავიხსენებთ ერთ სცენას. ლიზი მაკ-კეი სენატორ კლარკთან მიიყვანეს პოლიციის ჯიპში. მცირე საუბრის შემდეგ გაიძვერა სენატორი მეორე სართულზე ადის. ლიზი მაკ-კეი მარტო რჩება. გამოდის მეორე ოთახიდან მსახური ზანგი, გვერდზე ჩაუვლის ლიზის, ერთს შეხედავს, კრინტსაც კი არა სძრავს, მაგრამ მაყურებელი გრძნობს, რომ ზანგმა იცის ყველაფერი, იცის, რომ მის მოძმეს, შავკანიანს სიდნეის ხიფათი მოელის. ეს უსიტყვო სცენა რეჟისორს ისე აქვს გაკეთებული, რომ სიტყვაზე უკეთ მეტყველებს.

რსფსრ დამსახურებული არტისტის ე. სმირნოვის მუსიკა მელოდიური და პიესის შესატყვისია. უდავოდ სწორად მოიქცა თეატრი, რომ პიესა არ დატვირთა მუსიკით, მუსიკოსები ორკესტრში არ დასხა, სპექტაკლი უვერტიურით არ დაიწყო და დრამატული თეატრი ოპერის თეატრად არ გადააქცია.

ლიზი მაკ-კეის როლს ასრულებს მსახიობი ი. ე. სოკოლოვა. მსახიობი გიზიდავთ თავისი უშუალობით და დრამატიზმით. თუ პირველ სცენებში თავისი ქესტებით, ქცევით მსუბუქი ყოფაქცევის ქალის სახეს გვიხატავს, როცა თვალი ეხიბლება და იგრძნობს კლარკების და მათი ხროვის მთელ სისაძაგლეს, ლიზი ვეფხვად გადაიქცევა, მებრძოლ ადამიანად გვევლინება. როლების შესრულების მხრივ პირველობა რსფსრ სახალხო არტისტს ბ. ოლენინს ეკუთვნის. რა შემპარავი ღიმილით ესაუბრება იგი ლიზის. აი ნამდვილი მელა, გაიძვერა. კლარკის როლს მსახიობის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

მაყურებლით გაჭედილმა დარბაზმა ხშირად ტაშით დააჯილდოვა ოვაციები გაუმართა სპექტაკლის მონაწილეთ.

ა. მეზვრიშვილი.

ხ. სოკოლოვსკი (ფრედი).

• • •

სცენა სპექტაკლიდან „ლიზი მაკ-კეი“. ი. სოკოლოვი (ლიზი მაკ-კეი) და ბ. ოლენინი (სენატორი კლარკი).

კომუნიკე

იუგოსლავია-ეგვიპტის მოლაპარაკების შესახებ

ბელგრადი, 19 ივლისი. (საკდესი). ბელგრადის გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს კომუნიკე იუგოსლავია-ეგვიპტის მოლაპარაკების შესახებ.

მოლაპარაკების დროს, ნათქვამია კომუნიკეში, გულახდილად განიხილავდნენ ყველა საკითხს, რომელიც შეეხება ორი ქვეყნის ურთიერთობას და იუგოსლავია-ეგვიპტის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. მოხდა აზრთა მეგობრული გაზიარება მთავარ საერთაშორისო პრობლემებზე და საერთაშორისო მდგომარეობის საერთო განვითარების საკითხებზე.

პრეზიდენტი ნასერი და პრეზიდენტი ტიტო დაეთანხმნენ იმ შეფასებას, რომ გრძელდება საერთაშორისო ვითარების დადებითი განვითარება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიმართულებით იმ საერთო ღონისძიებათა მეოხებით, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და ხალხთა ურთიერთნდობის განმტკიცება სადავო საკითხების გადაჭრაში მოლაპარაკების მეთოდის სულ უფრო წარმატებით გამოყენების გზით.

ორმა პრეზიდენტმა განიხილა მდგომარეობა შუა და ახლო აღმოსავლეთში. მათ კვლავ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს ამ ტერიტორიების საკითხზე.

ორმა პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება 1956 წლის 5 იანვრის ერთობლივ განცხადებაში განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე და რომ ამ პრინციპების განხორციელება უკვე მნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

ორი პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აზრთა უშუალო გაზიარება და პირადი კონტაქტები უმაღლეს დონეზე უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისათვის. ამიტომ მათ გადაწყვიტეს განაგრძონ ასეთი სასარგებლო პრაქტიკა და მომავალში რეგულარულად მოაწყონ ურთიერთ კონსულტაციები.

მოლაპარაკებაზე ცხადყო, რომ ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებისა და აზრთა გაზიარებისათვის არის ფართო შესაძლებლობანი, და ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უახლოეს თვეებში დაიწყოს სპეციალისტებისა და შესაბამისი ორგანოების კონკრეტული მოლაპარაკება.

რადგან ორი ქვეყნის ხალხთა ყოველმხრივი ურთიერთგაცნობა ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მტკიცე მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარებისათვის, მიღებულია გადაწყვეტილება საერთოდ კულტურული თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოების ღონისძიებებისა და კერძოდ უახლოეს მომავალში კულტურული კონვენციის ხელმოწერის შესახებ.

ცალკე განხილულ იქნა საერთო ურთიერთანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების გაწევის, აგრეთვე მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის პრობლემა.

ორი პრეზიდენტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ დარგშიც არის სერიოზული შესაძლებლობანი თანამშრომლობისათვის, დახმარების გაწევისა და ინფორმაციის გაცვლისათვის, და ამ მხრივ მიღებულ იქნება შესაბამისი ღონისძიებანი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე

ვარშავა, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის საagენტო იუწყება, გუშინ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე მოისმინეს ამხ. ე. ცირანკევიჩის მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტზე — „1956-1960 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესახებ“.

პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 19 ივლისი. (საკდესი). 1956 წლის 16 და 17 ივლისს გაიმართა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ე. მოგოროშის მოხსენება იმ ამოცანების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. განხილვის შედეგად პლენუმმა ერთხმად მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეორგიუ-დეჟმა პლენუმს წარუდგინა ანგარიში მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც აწარმოებდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ამხ. იოსიპ ბროზ ტიტოს მეთაურობით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან. პლენუმმა ერთხმად გამოთქვა თავისი კმაყოფილება მიღწეული შედეგების გამო, რომლებიც ასახულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივ განცხადებაში და კომუნიკეში რუმინეთის მუშათა პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

იტალიის კომუნისტური პარტიის ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს კომუნიკე

რომი, 19 ივლისი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ბეჭდვითი სიტყვის ბიურომ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

„იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა შეიკრიბა იმისათვის, რომ მოისმინოს ცნობა თავისი დელეგაციისა, რომელიც ამას წინათ იყო მოსკოვში, სადაც ხანგრძლივი მეგობრული საუბრები ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან. იწონებს რა დელეგაციის საქმიანობას, პარტიის ხელმძღვანელობა უწონასწორ ყოველისა გამოთქვამს დიდ კმაყოფილებას გულითადი ატმოსფეროსა და გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთნდობის სულისკვეთების გამო, რომელიც მიმდინარეობდა შეხვედრა. ეს შეხვედრა ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის მეგობრობასა და ძმურ სოლიდარობას, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმს და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას. პარტიის ხელმძღვანელობა, კერძოდ, კვლავ ადასტურებს, რომ იტალიელი კომუნისტები სავსებით იწონებენ გაბედულ და დადებითს საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ და ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები იმ მიზნით, რომ საერთაშორისო დაძლიონ სტალინის პიროვნების კულტის შედეგები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 30 ივნისის დადგენილება დიდმნიშვნელოვანი წვლილია იმ მიზეზების ახსნაში, თუ როგორ წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფოში, რომელიც მუდამ ინარჩუნებდა თავის ძირითად დემოკრატიულ და სოციალისტურ ხასიათს, დემოკრატიისა და კანონიერების შეუწყნარებელი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი დარღვევები. ეს დადგენილება აგრეთვე ქმედითი წვლილია გულწრფელ და ღია დისკუსიაში, რომელიც საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მიმდინარეობს და რომელშიც ჩვენი პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან ეს კონტაქტი კვლავ ადასტურებს ძმური სოლიდარობის სულისკვეთებას, რაც საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიების ურთიერთობას, რომლებიც, თითეული თავისი ქვეყნის პირობებში, ეწევიან ბრძოლას დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“.

არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამო

ბუენოს-აირესი, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნუესტრა პალაბრამ“ დაბეჭდა სრული ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ცენტრალური კომიტეტი მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მოძღვარ კომუნისტურ პარტიას ძვირფასი წვლილისათვის მარქსიზმ-ლენინიზმში, რომელიც გამოიხატა იმ მიზეზების გამოვლინებით, რამაც შესაძლებელი გახადა სტალინის პიროვნების კულტის წარმოშობა, და ამ კულტის დაძლევისა და საბჭოთა კავშირში კომუნიზმის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის საქმის წინსვლისათვის პარტიის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში“...

ამ დოკუმენტს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ყველა მომხრისათვის. იგი ხელს შეუწყობს მხილებულ იქნას ციხისმფლებლური კამპანია, რომელიც ყველა ქვეყნის რეაქციულმა ელემენტებმა და, კერძოდ, ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა დაიწყეს პიროვნების კულტის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან დაკავშირებით.

განცხადების ბოლოს ნათქვამია, რომ არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეს დოკუმენტი გამოსცეს მასობრივი ტირაჟით და რჩევას იძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სხვა დოკუმენტებთან ერთად ეს დოკუმენტიც ღრმად იქნას შესწავლილი.

მოლაპარაკება კუნძულ ბრიონზე ინდოეთის, ეგვიპტისა და იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის

ბელგრადი, 19 ივლისი. (საკდესი). 18 ივლისს კუნძულ ბრიონზე დაიწყო მოლაპარაკება ინდოეთის, ეგვიპტისა და იუგოსლავიის უმაღლეს სახელმწიფო მოღვაწეებს შორის.

მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ე. კარდელი და ა. რანკოვიჩი და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი; ეგვიპტის მხრივ — ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, მუნიციპალიტეტებისა და სოფელ ადგილების საქმეთა მინისტრი და დაგეგმვის საკითხთა სახელმწიფო მინისტრი აბდელ ლატიფ ბოგდადი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ ფავზი და მინისტრი — რესპუბლიკის პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ალი საბრი; ინდოეთის მხრივ — პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი და ინდოეთის ელჩი ბელგრადში რაჯეშვარ დაიალი.

დღეს სამთა მოლაპარაკება დამთავრდება და დღის მეორე ნახევარში ინდოეთისა და ეგვიპტის სახელმწიფო მოღვაწეები პულადან სპეციალური თვითმფრინავებით გაფრინდებიან კაიროში.

როგორც გაზეთი „ბორბა“ ხაზგასმით აღნიშნავს, სამი სახელმწიფო მოღვაწის მოლაპარაკება მიმდინარეობდა უაღრესად გულითად ატმოსფეროში და განსახილველ პრობლემათა ურთიერთგაგების სულისკვეთებით. პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ, პრეზიდენტმა ნასერმა და პრემიერ-მინისტრმა ნერუმ თავიანთ უახლოეს თანამემარძლოებთან ერთად ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აქტუალური პრობლემებზე და საერთოდ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

პრეზიდენტმა ტიტომ პრეზიდენტ ნასერთან და პრემიერ-მინისტრ ნერუსთან პირველი შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ მეტად კმაყოფილია მოლაპარაკებით, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება უაღრესად გულითადი და მეგობრული იყო.

ბელგრადი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საagენტო იუწყება, დღეს დილით ბრიონზე გრძელდებოდა სამთა მოლაპარაკება. 9 საათზე პრეზიდენტ ტიტოს რეზიდენციაში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ მხოლოდ სამი დელეგაციის ხელმძღვანელები — იოსიპ ბროზ ტიტო, ჯავაჰარლალ ნერუ და გამალ აბდელ ნასერი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ შეუერთდნენ სამი დელეგაციის დანარჩენი წევრები.

დღეს დილით იმ მიზნით, რომ პრეზიდენტ ტიტოს, პრეზიდენტ ნასერსა და პრემიერ-მინისტრ ნერუს გადასცენ მემორანდუმი ალჟირის პრობლემის შესახებ, ბრიონზე ჩამოვიდა ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და ეროვნული განთავისუფლების არმიის ოთხი მოღვაწე.

დილით ალჟირელი მოღვაწეები ფერჰატ აბასი, ბენ ბელა, ჰოციმედ ლამენი და მოჰამედ აზიგი მიიღო იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ელჩმა მარკო ნიკეზიჩმა, რომელსაც გადაეცა მემორანდუმი, გამოგზავნილი პრეზიდენტ ტიტოს, პრეზიდენტ ნასერისა და პრემიერ-მინისტრ ნერუს სახელზე.

ბრიონზე ალჟირელ მოღვაწეთა ჩამოსვლას ბელგრადის გაზეთი „ვეჩერნე ნოვოსტი“ უკავშირებს პრეზიდენტ ნასერისა და პრემიერ-მინისტრ ნერუს ბრიონის კუნძულებზე ყოფნის პროგრამის შეცვლას.

როგორც ტანიუგის საagენტომ ეს ეს არის გადმოსცა, ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გადაწყვიტეს საღამომდე გადასდონ ბრიონის კუნძულებიდან გამგზავრება. როგორც გამოირკვა, პრეზიდენტები ნასერი და ტიტო და პრემიერ-მინისტრი ნერუ დღეს შეხვდნენ დღის მეორე ნახევარში, რათა განეგრძოთ მოლაპარაკება საერთაშორისო პრობლემებზე.

ალგრეშუმის ქსოვილეგის სპეციალიზებული ბაღაზია

„თბილმრეწვაპრომა“ პლეხანოვის პროსპექტზე გახსნა ალგრეშუმის ქსოვილების სპეციალიზებული მაღაზია, რომელსაც აქვს ნატურალური და ხელოვნური ალგრეშუმისა და შტაპელური ქსოვილების განყოფილებები. აქ ყოველთვის ფართო ასორტიმენტით წარმოდგენილია კრეპეორჟეტი, კრეპპარიზიენი, კრეპსატინი, კრეპდეშინი, ატლასი, ყველა სახის ხელოვნური კრეპები, შტაპელური ქსოვილები და სხვ.

მაღაზიის შიგნით მოწყობილია ორი ვიტრინა, რომლებშიც გამოფენილია ყველა იმ ქსოვილის ნიმუშები, რაც მაღაზიას აქვს. მომხმარებელს შეუძლია ვიტრინებში აირჩიოს მისთვის საჭირო საქონელი.

სურათზე: ალგრეშუმის ქსოვილების სპეციალიზებულ მაღაზიაში.

ფოტო შ. გოქაძისა.

მრავალღღიანი ველორბოლა

მოსკოვი, 19 ივლისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.) დედაქალაქი ემზადება დიდი სპორტული ზეიმისათვის — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

ახლა მოსკოვში იმყოფებიან სხვადასხვა რესპუბლიკების სასპორტო დელეგაციათა წარმომადგენლები. მათ შორის შეხვედრით საქართველოს სპორტსმენებს — ცხენოსნებს, ნიჩბოსნებსა, ფრენბურთელებს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სხვადასხვა სახეობათა შორის არის მრავალღღიანი ველოსრბოლა მარშრუტით: მოსკოვი — ხარკოვი — კიევი — მინსკი — მოსკოვი. გასულ ველოსრბოლებთან შედარებით ეს ასპარეზობა განსხვავდება პირველ რიგში იმით, რომ აქ წარმოდგენილი არიან სასპორტო საზოგადოებათა გუნდები, არამედ მთლე რესპუბლიკათა ნაკრები კოლექტივები.

ველოსრბოლებმა უნდა გაიარონ 2.700-მდე კილომეტრი. ეს მანძილი გაყოფილია 15 ეტაპად.

მრავალღღიანი ველოსრბოლის ფინიში და გამარჯვებულთა დაჯილდოება მოხდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნის დღეს 5 აგვისტოს ლუჟნიკის ახალ სტადიონზე. ამ საინტერესო შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდსა და სპორტსმენს მიენიჭება სსრ კავშირის 1956 წლის ჩემპიონის წოდება მრავალღღიან ველოსრბოლაში, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდება. გუნდს გადაეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი პრიზი, ხოლო სპორტსმენს — ოქროს მედალი.

უძლიერესთა ასპარეზობის დაწყებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი, რომელიც დღეს გაიმართა მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. მოედანზე მწყობრად შემოდიან მოსმე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები. სპორტსმენებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ველოსექციის თავმჯდომარე ე. კუპრიანოვი.

სპორტსმენები გაემართნენ ტექნიკური სტარტისაკენ. მთავარი მსაჯის ნაუმოვის ნიშანზე ველოსრბოლები ადგილიდან დაიძრნენ და დიდი სისწრაფით გაემართნენ ქალაქ ტულისაკენ. თვითეული გუნდის შემადგენლობაში 6 სპორტსმენი შედის. რსფს რესპუბლიკას გამოჰყავს 4 გუნდი — ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის და კარელიის ასსრ ველოსრბოლთა ნაკრები კოლექტივები. სულ ერთმანეთს პირველობას ეცილება 18 გუნდი.

საქართველოს გუნდის შემადგენლობაში არიან სპორტის ოსტატი ძებნიაური, აგრეთვე პირველთანრიგოსნები ბერიოშკოვი, მასლენკოვი, რატიანიძე, სეფერიანი და თავაძე.

რესპუბლიკური მასობრივი საჭადრაკო ტურნირი

გუშინ, თბილისში, რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა საჭადრაკოდისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური მასობრივი საჭადრაკო ტურნირი.

ამ საინტერესო შეჯიბრებას წინ უსწრებდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩატარებული მასობრივი ტურნირები.

მასობრივ ტურნირში ექვსი გამარჯვებული ვაჟი და სამი ქალი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო მასობრივი ტურნირის ფინალში, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში მოსკოვში ჩატარდება. ფინალში გასვლისათვის იბრძვიან თ. გიორგაძე, ა. ბლაგიძე, ო. კაკაბაძე (თბილისი), ი. ლოლუა (ფოთი), ს. ელბაქიძე (ჩტალინირი), მ. დემურია (ზუგდიდი), ა. ჩხაიძე (ლანჩხუთი), მოკალიძე, ე. გელაშვილი (თბილისი), ი. სიჭინავა (ფოთი) და სხვ. სულ სამოცამდე მოჭადრაკე.

დღეს შედგება I ტური.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 20 ივლისი. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის (მოსკოვის სახელობის თეატრის გასტროლები) — ქორეობა, **ფილარმონიის** საზაფხულო თეატრი — რკინიგზელის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი, ორჯონიკიძის** სახელობის პარკი, **პლეხანოვის** სახელობის კლუბი — ერთი ჰიქი ლუდი, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის** ბაღი, **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის** სახელობის (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **გორკის** სახელობის კულტურის სახლი, **კომუნარდის** ბაღი — ჩემი ქალიშვილი ვენაში ცხოვრობს, თბილისი, **კიროვის** სახელობის პარკი, **ვოროშილოვის** სახელობის კლუბი — სატრფოს მანდილი, **ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის** სახელობის (საზამთრო), **ოფიცერთა** სახლი — იახტები ზღვაში, **დიდუბე** (საზამთრო), **მილიციის** სამმართველოს საზაფხულო კლუბი — პოლიციელები და ქურდები, **კოლხიდა** (საზამთრო) — სასცენო სარბიელზე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ერთ მშვენიერ დღეს, **დიდუბე** (საზაფხულო) — პირველი სიბარული, **ძერჟინსკის** სახელობის კლუბი, **კოლმეურნე** — ვადამწყვეტი წუთები.

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის (მოსკოვის სახელობის თეატრის გასტროლები) — ქორეობა, **ფილარმონიის** საზაფხულო თეატრი — რკინიგზელის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი, ორჯონიკიძის** სახელობის პარკი, **პლეხანოვის** სახელობის კლუბი — ერთი ჰიქი ლუდი, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის** ბაღი, **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის** სახელობის (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **გორკის** სახელობის კულტურის სახლი, **კომუნარდის** ბაღი — ჩემი ქალიშვილი ვენაში ცხოვრობს, თბილისი, **კიროვის** სახელობის პარკი, **ვოროშილოვის** სახელობის კლუბი — სატრფოს მანდილი, **ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის** სახელობის (საზამთრო), **ოფიცერთა** სახლი — იახტები ზღვაში, **დიდუბე** (საზამთრო), **მილიციის** სამმართველოს საზაფხულო კლუბი — პოლიციელები და ქურდები, **კოლხიდა** (საზამთრო) — სასცენო სარბიელზე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ერთ მშვენიერ დღეს, **დიდუბე** (საზაფხულო) — პირველი სიბარული, **ძერჟინსკის** სახელობის კლუბი, **კოლმეურნე** — ვადამწყვეტი წუთები.

და თამარ, ძმები ლევან, გაბრიელ, სტეფანე. სიძე ა. მამულაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ელენე მიხეილის ასულ დიდიმამაშვილ-ფირალიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8½ ს. გამოსვენება 22-VII, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 28.

შვილი თამარ დუნდუა, დები მარო, ნინო ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

მარიამ ანტონის-ასულ გოგავა-ხოშორიკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VII ქ. ლანჩხუთში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 44.

მშობლები ლიზა, სოკრატ, და ციალა. სიძეები დ. ჩოლოყაშვილი, კ. მაღლაკელიძე იუწყებიან

თეიმურაზ სოკრატის-ძე მგალობლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 4 ს. ენგელსის ქ. № 66.

შვილები ნიკოლოზ, გრიგოლ, საშა, რძლები ვერა, ქსენია, ლიზა, ჯულიეტა შვილებით იუწყებიან

ანეტა ივანეს ასულ ჩომახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII სოფელ გოჩა-ჯიხაიშში (წულუკიძის რ.).

დედა ფაცია, მეუღლე ეთერ ჩიგოგიძე, შვილები ლედი, მკდეა, ზურაბ, დები ოლია, რიმა, ქეთო, ნინო, ძმა ბეჟან, რძალი მარო ოჯახებით იუწყებიან

გიორგი ონისიმეს-ძე ლილუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 5 ს. თარხნიშვილის ქ. № 11.

შვილები ფაცია, ელოსო, ვლასა, რძლები თამარ, მერი, სონია, შურა ოჯახებით იუწყებიან

ნინო ახალოხ ასულ ხირაძე-მეგრელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII სოფელ მთისპირში (მახარაძის რ.).

მეუღლე ლიდა, შვილები ჯუმბერ, მედეა, რძალი ვენერა, სიძე გ. მაჭავარიანი და შვილიშვილები იუწყებიან

ოთელ ვიქტორის-ძე მარუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. თარხნიშვილის ქ. № 18/20.

მეუღლე კესარია, შვილები ნინო, ლოლა, ვერა, სონა, თამარ, ანა, ივანე, ალექსი, პეტრე, რძლები ალექსანდრა, ნინო, შურა, დები მარიამ, ნუშა ოჯახებით იუწყებიან

პავლე ივანეს-ძე გელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII, 5 ს. სურამში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 47.

სად გავატაროთ კვირადღე

კოჯორი

მანქანა ქალაქს გასცდა და აღმართს შეუდგა. უკან დარჩა თბილისის უმშვენიერესი ადგილები — ბოტანიკური ბაღი, კომკავშირის ხეივანი. ნელ-ნელა უთანასწორდებით მთაწმინდას, რომელიც ქვევიდან ასე მაღალი მოჩანს. აგერ ბატელევიზიო ცენტრის კოშკურა ანძა, რომელსაც სულ მალე უკვე მაღლიდან დაჰყურებენ. ძალიან დაბლა გადაშლილია თბილისი. ვერცხლისფერი სარტყელივით მოჩანს მდინარე მტკვარი.

თბილისში ცხელა, აქ კი ბაერი თანდათანობით გრილდება. გასცილდებით ჯერ არა ოქროყანას, შინდისსა და ტაბახმელას, უკვე იგრძნობთ ტემპერატურის ცვლილებას. კოჯრიდან მონაბერმა გრილმა ნიავმა შეიძლება სიცივეც კი გაგრძნობინოთ. თბილისიდან გამოსვლის სულ რაღაც 30-45 წუთის შემდეგ უკვე კურორტზე ხართ.

აქ ალარ არის ქალაქის გაცხელებული ასფალტი, მას სცვლის მწვანე მთლი. მიპყვებით დაჩრდილულ ბილიკებს და თქვენს თვალწინ იშლება სულ ახალი და ახალი წარმტაცი ხანახობანი. აგერ ერთ მხარეს შერეული ტყეა, სადაც ერთმანეთს სცვლიან ცაცხვები, ვერხვები, სხვადასხვა ხეხილი, მეორე მხარეს შედიხართ ფიქვნარში. ათასგვარ ხმაზე გაისმის ფრინველთა გალობა.

ლამაზია კოჯორი. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1.300-1.400 მეტრ სიმაღლეზე. მას უკავია მაღალმთიანი პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთი დაქანებული ნაწილი.

კოჯორი თავისი შესანიშნავი თვისებებით ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იპყრობდა თბილისელთა ყურადღებას. მაშინ ქალაქის მოსახლეობა მცირე იყო. თანაც მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყით იყო დაფარული, რის გამო ქალაქში გაცილებით უფრო გრილოდა, ვიდრე ამჟამად. იმ ხანად საზაფხულო ადგილებად თბილისელებისათვის ითვლებოდა ორთაჭალა, კრწანისის ბაღები, გლდანი, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი, დიღმის ბაღები, ოქროყანა, წყნეთი.

ქალაქის ზრდასთან ერთად კოჯორში დაიწყო მშენებლობა. გაკეთდა საავტომობილო გზატკეცილი, რის შედეგად ზაფხულობით ამ კურორტს სულ უფრო მეტი ხალხი ეტანებოდა. ამჟამად იგი გადაიქცა საუკეთესო კურორტად და მშრომელთა დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად.

ბევრი ლამაზი და მომხიბლავი ადგილია კოჯორში. თვით კოჯრის პლატოდან იშლება შესანიშნავი სანახაობა. ჰორიზონტზე ლურჯად ლივლივებენ ლისისა და კუს ტბები, აქედანვე მოჩანს ბეთანია, საგურამოს მთები, კავკასიონი მუდამ თოვლიანი მწვერვალებით.

ყურადღებას იპყრობს მაღალ მთაზე აშენებული კოჯრის ციხე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ქოროღლის ციხეს ეძახიან. ამ ციხისაკენ მიმავალი გზა ლამაზ ტყეზე გადის. დასვენების დღეებში აქ ბევრი ჩრდილში ბევრ გაშლილ ხეფარს ნახავთ.

უახლოესებით ციხეს, რომელიც ზედ კლდის პირზეა. დროთა ვითარებას დაუზიანებია ციხის კედლები, მაგრამ იგი მაინც დგას, როგორც წარსული დროის ბრძოლების უტყუარ მოწმე.

აქედან ლამაზად მოჩანს მთის ფერდობები, რომლებსაც ხშირი ტყე მოსდებია. მზის ჩასვლისას მოხიბლავი სანახავია ალისფრად შეღებილი მთის მწვერვალები, მთელი ჰორიზონტი.

კოჯორში ჩასული დამსვენებელი აუცილებლად წავა აქედან ციხე, რომ არ ნახოს უძოს მთა და აქ დარჩენილა ძველი ციხის ნანგრევები.

შორიდან მოისმის პიონერული საყვირის ხმა. ერთი შეხედვით მოყოლებით მიდიან წვრილფეხა ბავშვებიანი გოგონები და ბიჭები. ესენი არიან პიონერთა ბანაკში მყოფი მოსწავლეები, რომლებიც ხალაზროდ მიდიან ახლო მიდამოებში.

კოჯორს ნამდვილად ბავშვთა კურორტი შეეძლება ეწოდოს. აქ ზაფხულს ატარებენ არა მარტო სკოლის ასაკის ბავშვები, არამედ ხანდაზმული ბაღის თუ ბაგის აღსაზრდელებიც. მეცნიერული დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ კოჯორში ყოფნისას ბავშვის სისხლში მკვეთრად მატულობს ჰემოგლობინი, აქაური ჰაერი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს რაჭიტზე, ნაწლავთა სხვადასხვა დაავადებებზე. კოლიტით დაავადებული ბავშვები კურორტზე ჩასვლის მეორე დღიდანვე უკეთ გრძნობენ თავს.

ამიტომ არის, რომ კოჯორში გახსნილია ბავშვთა და მოზარდთა სანატორიუმები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი საბავშვო სახლები. პროფკავშირული, კოოპერაციული და სახელმწიფო ორგანიზაციები ზაფხულობით აქ ხსნიან პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს, პიონერთა ბანაკებს, საბავშვო მოედნებს.

• • •

კოჯორში ხაკმაოდ კარგად არიან დაყენებული დამსვენებელთა მომსახურება, არის კვების პროდუქტები, გამაგრილებელი წყლები, რისთვისაც გზის გაყოლებით დადგმულია ათი კიოსკი და ფარდული. არის ხასადილო, პავილიონი და სხვ.

ორიოდე შენიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ კოჯორი უკვე დიდი ხანია აღიარებულია საუკეთესო დასასვენებელ ადგილად თბილისის მოსახლე